ცვლილებები ძალაშია 25.09.2018-დან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. შეიცვალოს საბანკო მომსახურების პირობების 15^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15^1. ფიზიკური პირის შემნახველი ანაბარი “FlexSave” / “FlexSave +”

1. **ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება „შემნახველი ანაბრის “FlexSave” /„შემნახველი ანაბრის “FlexSave + ” ხელშეკრულება“;**
2. **25/09/2018-დან შემნახველი ანაბარი “FlexSave” -ის გახსნა ხორციელდება მხოლოდ აშშ დოლარში და ევროში. შემნახველი ანაბარი “FlexSave +” -ის გახსნა ხდება მხოლოდ ლარში.**
3. **ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით.**
4. **ანაბარი წარმოადგენს მოთხოვნამდე ტიპის ანაბარს და მეანაბრეს შეუძლია მრავალჯერადად გაზარდოს და/ან შეამციროს ანაბარზე არსებული თანხა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.**
5. **ანაბრის გასახსნელად სავალდებულო არ არის პირველადი შენატანის გაკეთება. ანაბარი შესაძლებელია გაიხსნას ნულოვანი ნაშთით. ანაბარზე პირველადი შენატანის შესრულება შესაძლებელია ნებისმიერ დროს. შესაბამისად ანაბარზე პროცენტის დარიცხვა დაიწყება თანხის განთავსების მომდევნო დღიდან.**
6. **ანაბარზე ნებადართული ოპერაციების შესრულების რაოდენობა და პერიოდულობა შეუზღუდავია.**
7. **ანაბარზე შესაძლებელია მხოლოდ თანხის გადარიცხვა/ჩარიცხვა ამავე მეანაბრის პროკრედიტ ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე/ანგარიშიდან.**
8. **ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტა და ანაბრის დახურვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მეანაბრე ხურავს მიმდინარე ანგარიშს ანაბრის შესაბამის ვალუტაში.**
9. **ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ანაბარს, საპროცენტო სარგებლის ბოლო გადახდის თარიღიდან ანაბრის დარღვევის თარიღამდე პერიოდზე, დაერიცხება ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის ამ ანაბარზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთი.**
10. **ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ანაბრის ანგარიშზე არსებული მთლიანი თანხა ჩაირიცხება მეანაბრის მიმდინარე ანგარიშზე.**
11. **ანაბარზე, მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ვრცელდება ბანკის მიერ გაწეული/გასაწევი საბანკო მომსახურების საკომისიოები და ყოველი ოპერაციის განხორციელებისას ბანკის მიერ იმ დროისათვის დადგენილი ტარიფები“.**

2. შევიდეს ცვლილება საბანკო მომსახურების პირობების 29^2 მუხლის 3.2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3.2. შემნახველი ანაბარი Flex Save/ Flex Save+ (მიმდინარე ანგარიშის შესაბამის ვალუტაში)“.

3. შევიდეს ცვლილება საბანკო მომსახურების პირობების 29^3 მუხლის 3.2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3.2. შემნახველი ანაბარი Flex Save/ Flex Save+ (მიმდინარე ანგარიშის შესაბამის ვალუტაში)“.